

# ლადო პაპავა: “ძალიან ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ეს ძალიან მშვიდად და ეტაპობრივად უნდა მოხდეს”

გაზეთი ”რეზონანსი” – 12 აგვისტო, # 213, 2013.

16 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები გაიმართება. რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ამ ეტაპზე ოფიციალურად 14 კანდიდატი მონაწილეობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის და რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატის, ლადო პაპავას განცხადებით, მისი არჩევის შემთხვევაში რეფორმების გატარებას ერთპიროვნულად არ გეგმავს, თუმცა საკუთარი სტრატეგია გააჩნია.

როგორც მან “მთელ კვირასთან” საუბრისას აღნიშნა, რევოლუცია უნივერსიტეტში დამანგრეველად მიაჩნია. ამბობს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში პრობლემების მოგვარებას ეტაპობრივად და მშვიდ ვითარებაში აპირებს.

**“მთელი კვირა”:** როგორ შეაფასებდით რექტორობის წინასაარჩევნო პროცესებს?

**ლადო პაპავა:** ეს პროცესი ჯერ კიდევ მოქმედი “უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა” და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების თანახმად მიმდინარეობს. როდესაც რექტორმა, სანდრო კვიციანიამ გადადგომა გადაწყვიტა, არჩევნები პრაქტიკულად იმავე დღესვე, ყველა წესის დაცვით დაინიშნა. საბუთების მიღება 28 ივნისიდან დაიწყო და 12 ივლისს დასრულდა. განაცხადი 19 ადამიანმა შეიტანა, თუმცა საარჩევნო კომისიამ მხოლოდ 14 დაარეგისტრირა. მიზეზი კი ასაკობრივი შეზღუდვა გახლდათ, რომელიც კანონსა და უნივერსიტეტის წესდებაში არის მითითებული.

**“მ.კ.”: მოქმედი წესდების თანახმად რექტორს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ირჩევს, რა მოთხოვნები აქვთ კანდიდატების მიმართ და თუ გქონდათ მათთან შეხვედრები?**

**ლ.პ.:** სამწუხაროდ რექტორის კანდიდატების მიმართ მოთხოვნები არც თუ ისე მდიდარი იყო. მაგალითად, კანდიდატებს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია არ მოეთხოვებათ. მე ეს სია მაინც ჩავაბარე, რადგანაც, მიუხედავად იმისა, გავიმარჯვებ თუ არა ის უნივერსიტეტის არქივში ისტორიისათვის მაინც დარჩება.

შეხვედრები მქონდა თითოეული ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორებთან, სადაც მოვისმინე მათი პრობლემები, იყო შეკითხვებიც. ამ შეხვედრებმა დამატებითი ინფორმაცია მომცა. ჯერ ერთი, რაც ვიცოდი, თუ უნივერსიტეტში რა არის გასაკეთებელი, ამაში რწმენა განმიმტკიცდა, მეორე, უფრო უკეთ დავინახე, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან სტუდენტები და პროფესორები ცალკეულ ფაკულტეტებზე.

**“მ.კ.”: მაგალითად?**

**ლ.პ.:** ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ფაკულტეტებთან შეხვედრისას კოორდინაციის პრობლემა გახლდათ. ერთმა ფაკულტეტმა სათანადოდ არ იცის მეორე რას აკეთებს, არ იცის მეორე ფაკულტეტი რა პრობლემების წინაშე დგას. ხშირად ამ შეხვედრებზე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ჟღერდა. ამ ყველაფერმა კი კოორდინაციის სათანადო მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა.

**“მ.კ.”: როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანი იქნება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება?**

**ლ.პ.:** მოქმედი კანონმდებლობით რექტორს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ირჩევს. თავის დროზე საბჭოს წევრების არჩევისას კენჭისყრაში მონაწილეობას შესაბამისი ფაკულტეტების პროფესორები და სტუდენტები იღებდნენ. აქედან გამომდინარე აკადემიურ საბჭოს სათანადო ლეგიტიმაცია გააჩნია. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო რექტორი არ არის, ეს აკადემიური საბჭოა. რექტორს კი, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს ერთი ხმა აქვს.

**“მ.კ.”:** უნივერსიტეტში პროფესორების არჩევას საკმაოდ დიდი პროტესტი მოჰყვა, იყო დაპირისპირებაც, პროფესორები ამზობდნენ, რომ მათი არჩევა არალეგიტიმური იყო. რას ფიქრობთ, რა იყო ამ პრობლემების გამომწვევი მთავარი მიზეზი?

**ლ.პ.:** ამ ეტაპზე პრობლემა იმაშია თუ ხვალ რა უნდა გაკეთდეს. ერთ-ერთი ნაკლი, რაც იმ კონკურსების დროს იკვეთება გახლავთ ის, რომ უნივერსიტეტში აპელაციის სისტემა მოიშალა. წარმოიდგინეთ აბიტურიენტი აბარებს გამოცდებს, არ არის კმაყოფილი ნიშნით და სრული უფლება აქვს გაასაჩივროს. სტუდენტს, რომელიც გამოცდაზე იღებს დაბალ ნიშანს უფლება აქვს ეს შეფასება გაასაჩივროს, ხოლო პროფესორი, რომელიც კონკურსით ვერ გადის უფლება არ აქვს ეს შედეგი უნივერსიტეტშივე გაასაჩივროს, რის გამოც იძულებულია პირდაპირ სასამართლოში წავიდეს. ჩემი ღრმა რწმენით აპელაციის სისტემა უნდა იქნეს აღდგენილი.

ყველაზე მთავარი კომპონენტი საკონკურსო კომისიებია, რომლებიც დარგის ცნობილი სპეციალისტებით უნდა დაკომპლექტდეს, თანაც ისეთი ხალხით რომელთა რეპუტაციაშიც ეჭვი არავის შეეპარება. ხომ არ შეიძლება პროფესორის არჩევაში არაკომპეტენტურმა პირმა მიიღოს მონაწილეობა?!

**“მ.კ.”:** როგორი შეხედულების ხარტ “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც უნივერსიტეტს სსიპ-ებად გადაკეთებას მოიცავს?

**ლ.პ.:** არამომგებიანი, არაკომერციული პირის სტატუსის შეცვლა საჯარო სამართლის იურიდიული პირად უნივერსიტეტისთვის უკეთესი ნამდვილად არ არის. თუმცა, გასაგებია რატომ გააკეთა ეს ხელისფლებამ, როცა მოქმედი სტატუსის გამოყენებით ერთ-ერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნივერსიტეტის ქონების ნახევარი კინაღამ ხელში ჩაიგდო.

ხაზი იმასაც უნდა გაესვას, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის პირობებშიც უნივერსიტეტს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი, რადგანაც აშკარაა, რომ “ქართული ოცნების” ხელისუფლებას გააჩნია იმის პოლიტიკური ნება, რომ ეს დამოუკიდებლობა უზრუნველყოს.

**“მ.კ.”:** არჩევის შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი გეგმა უნივერსიტეტში გასატარებელ რეფორმებზე?

**ლ.პ.:** უნივერსიტეტი, როგორც ცნობილია, არის პროფესორებისა და სტუდენტების გაერთიანება ცოდნის შენახვის, ცოდნის გავრცელებისა და ახალი ცოდნის გენერირების მიზნით. ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტებში კი არსებობს იმის განცდა, რომ უნივერსიტეტში იმ დონის ცოდნას ვერ იღებენ, რასაც მათი თანატოლები მსოფლიო წამყვან უნივერსიტეტებში. როგორ უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, რათა სტუდენტი დავარწმუნოთ, რომ რახან ის ჰარვარდში, სტენფორდში ან კემბრიჯში სასწავლებლად ვერ წავიდა, აქაც ღებულობს საერთაშორისო დონის განათლებას?!

იქ, სადაც ჩვენ ტრადიციული სამეცნიერო სკოლები არ გვაქვს, ბაკალავრიატში პრიორიტეტად საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელოების თარგმნა უნდა მივიჩნიოთ. ეს დაკვეთა თვითონ სტუდენტებიდან მოდის და ჩემი არჩევის შემთხვევაში ამ დონისძიებას გავატარებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა სახელმძღვანელო უნდა ვთარგმნოთ. რომელი უნდა ვთარგმნოთ და რომელი არა ამას თავად ფაკულტეტები უნდა წყვეტდნენ.

**“მ.კ.”: ვინ უნდა იყოს მთარგმნელი?**

**ლ.პ.:** რა თქმა უნდა უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც საგანი იცის. გარდა ამისა ამ პროცესში დოქტორანტები უნდა ჩავრთოთ, ეს მათ სერიოზულ გამოცდილებას და გარკვეულ ანაზღაურებასაც მისცემს.

მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში ლიტერატურის ხელმისაწვდომობა აუცილებელია. საჭიროა ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემის შექმნა, რათა უნივერსიტეტის ყველა შენობაში ინტერნეტის გამართული წვდომა არსებობდეს.

არის სხვა მრავალი პრობლემაც. მაგალითად, შეიძლება ქიმია ან ფიზიკა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიის გარეშე ასწავლო?! მედიცინის ფაკულტეტს კიდევ უფრო რთული პრობლემა აქვს – მას თანამედროვე საუნივერსიტეტო კლინიკა ესაჭიროება.

კიდევ ერთი პრობლემა: მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ინსტიტუტების ნაწილი უნივერსიტეტს შეუერთეს, რომელთა სტატუსიც დღემდე გაურკვეველია. ეს პრობლემა უმოკლეს დროში უნდა მოგვარდეს.

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ ახალი რექტორის მოსვლა აკადემიური თანამდებობების გადახედვას და კონტრაქტების შეწყვეტას არ ნიშნავს. რეკლუცია განათლებისა და მეცნიერების სისტემაში დამანგრეველია, უნივერსიტეტში ძალიან ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ეს ძალიან მშვიდად და ეტაპობრივად უნდა მოხდეს.

**სალომე სარიშვილი**